

სპორტული გიგანტები

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
18 თებერვალი პარასკევი 2011
№ 039 (13336) ფასი 60 თეთრი

სუპერჯანო!

ევროპის
ლიგაზე
მოსკოვის
სპარტაკს
ქართვალმა
მოაგებინა

9



ეროვნული
გიგანტები

ამისულაშვილის
სანაცვლოდ

3 000 000

ევრო?

ალექსანდრა ამისულაშვილის მოულოდნელი ტრანსფერი ბოლო დღეების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საფეხბურთო მოვლენა და ამიტომაც გუშინ იმის გარკვევა ვცადეთ, თუ რატომ გადაწყვიტა საქართველოს ნაკრების მცველმა "ქაისერისფორიდან" კრასნოდარის "ყუბანში" გადასვლა. ჩვენს ხელთ არსებული სარწმუნო ინფორმაციით, "ქაისერის" თავკაცი შოთა არველაძე ამისულაშვილს სეზონის მსვლელობისას აფრთხილებდა, რომ თუ წასვლას მოინდომებდა, საქმის კურსში დროულად ჩაეყენებინა, რათა კლუბს მისი შემცველის პოვნა მოეხერხებოდა. ამის მიუხედავად, არველაძემ და კლუბის ხელმძღვანელობამ მისი წასვლის შესახებ სულ ბოლო მომენტში შეიტყვეს. ამისულაშვილს თურქეთში ხელფასი საგრძობლად კი გაუზარდეს, მაგრამ "ყუბანის" მიერ შეთავაზებული პირობები გაცილებით ხელსაყრელი აღმოჩნდა. "ქაისერის" ქართველმა მწვრთნელმა სატელევიზიო კომენტარში დაადასტურა, რომ ამისულაშვილის პოზიციაზე სხვა კვალიფიციური ფეხბურთელის შეძენას ვერ ასწრებენ...

ამისულაშვილმა "ქაისერის" წასვლა კონტრაქტში ჩადებული ერთი პუნქტის წყალობით შეძლო: თურქული კლუბი ქართველს იმ შემთხვევაში არ დააბრკოლებდა, თუ მის სანაცვლოდ მინიმუმ 3 მილიონ ევროს გადაიხდინენ. შევეცდებით, ამ ამბის ახალ დეტალებზე "ლელოს" უახლოეს ნომრებში კიდევ გიაგებოთ...

ლევან ჯანაშვილი



დავით სირაძე:
გაბრიელის
მსვლელებზე
ინფორმაციას
წინასწარ
ვაგროვებ

2

ქართველები
უბრალებს
ღირსების გრძნობით
გამორჩევიან

რას წერს
უსპორტი პრესა
ჩვენებურ
მორაგბეზე

13

<p>Yamala Gugulea</p> <p>2</p>	<p>Jamie Cudmore</p> <p>1</p>	<p>Sylvain Marconnet</p> <p>3</p>
<p>Rodrigo Pascual</p> <p>4</p>	<p>Arnold Meia</p> <p>5</p>	

ახალწვეული



ვაკო ტყემალაძე (ბურთით)

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ვაკო ტყემალაძე:

სამბრედიდან მართლა ოლიმპიკა აღმოვიჩინე

ზამთარში რუსთავის "ოლიმპიკა" ნახევარმცველი ვაკო ტყემალაძე "სამბრედიდან" დაიმატა. შესაძლოა, მისი სახელი გულშემატკივარს ბევრს არაფერს ეუბნება, მაგრამ სპეციალისტებმა მაინც იციან - 23 წლის ნახევარმცველის დიდი დამსახურებაა, "სამბრედიან" გულშემატკივარს თავი მეტრძოლ და საინტერესო გუნდად რომ გაცნო და ფეიქრობო, რუსთაველები არჩევანში არ შეეცდარან.

"სამბრედი" და "ოლიმპი" ერთმანეთისგან ბევრად განსხვავდებიან, სხვადასხვა პირობები, ამბიციები და მოთხოვნები.

განსხვავება უდიდესია, "სამბრედიში" ერთუზისამაზის ანარა ვიამაშობლით ვითარება ძალიან არია, განსაკუთრებით ბოლო სამ თვეში და გაჩერება შეუძლებელი იყო. ფინანსურად კრიტიკული ვითარება რომ შეიქმნა, ეს მთელმა საქართველომ გაიგო. კიდევ კარგი, გულშემატკივრები გვეხმარებოდნენ, საკვები მოჰქონდათ და შეძლებისდაგვარად მხარში გვედგნენ, თორემ მოედანზე გასულასაც ვერ მოვახერხებდით. ადგილობრივი სახლში მივიდოდა ნორმალურად დაიძინებდა, ჩასულისთვის კი გაძლება ძნელი იყო, ბაზიდან ვერ გავდიოდით, ხელფას-პრემიაზე ლაპარაკიც ზედმეტია და საჭმელზე აქეთ-იქით ხომ არ ვირბენდით?

თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, არც გუნდში გატარებული წლები დამაინფიცებდა, არც სამბრედიელი გულშემატკივარი და არც ის სიხარული, რამდენიმე ლიდერთან მოგებით რომ განვიცადე. "სამბრედიას" პატრონი რომ ჰყოლოდა, ახლა ლიდერებშიც იქნებოდა. სხვანაირი, ჯიგრიანი ფეხბურთის ვიამაშობლით, რაშიც ხალხი გვეხმარებოდა.

"ოლიმპის" ძირითადში მოსახვედრად ბევრად დიდი კონკურენციის გადალახვა მოგიწევს.

ეს წინასწარ ვიცოდი, მაგრამ მიყვარს სირთულეების დაძლევა და ამის არ მეშინია. უკეთეს გუნდში გადასვლისას სიძნელეები აუცილებლად დაგხვდება, მაგრამ არ უნდა შეგეშინდეს. "ოლიმპი" ჩემპიონობისთვის იბრძვის და ეს ფეხბურთელისთვის ძალიან კარგია, სულ მოტივირებული ხარ, საკუთარ თავსაც მეტს სთხოვ და სულ რეჟიმში ყოფნით აუცილებლად გაიზრდები. თავს თუ

მერაბ მამულაშვილი

ტორკელო

ფარულავე: ტორკელო ჩეპიონობისთვის იბრძობებს!

"ტორკელო" ერთ-ერთმა ლიდერმა, ეროვნული ნაკრების ყოფილმა კანდიდატმა თემურ ფარულავამ კლუბის ვებგვერდისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მალე ქუთაისელები ჩემპიონობისთვის იბრძობებენ. "ჩვენ მხოლოდ მაღალ მიზნებს ვისახავთ და ამ ვითარებაში გრძელი სათადარიგოთა სკამი ძალიან მნიშვნელოვანია. პოტენციალიდან გამომდინარე, სულ მცირე, მეოთხე ადგილს ვიმსახურებთ, გაისად კი უეჭველად ჩემპიონობას დაეუმიზნებთ", - თქვა ფარულავამ. ნელინად-ნახევარზე მეტია, თემური ქუთაისურ გუნდშია და იმ იშვიათ მოთამაშეთა შორისაა, რომლებიც კლუბში გატარებული რეფორმების შემდეგ რომ დატოვეს. ცენტრალური მცველისთვის უჩვეულო შედეგანობით გამოირჩევა - გასულ წელს რვაჯერ აიღო მეტოქეთა კარი.

მერაბ მამულაშვილი

ლაბიონარი

გოგობა გოგუა: თეორიკოს ფეხბურთელთა მოტივირების გასაოცარი უნარი აქვს

ნიჟნი ნოვოროდის "ვოლგას" ოფიციალურმა ვებგვერდმა გუნდის ახალწვეულ გოგობა გოგუას საინტერესო ინტერვიუ ჩამოართვა, რომელსაც მცირე შემოკლებით გთავაზობთ.

- რატომ გადამწყვეტე "ვოლგაში" გადმოსვლა?

- ნაღჩიკის "სპარტაკთან" კონტრაქტის ვადა ამომწურავი, "ვოლგასთან" საინტერესო წინადადება მივიღე და უარი არ მიმიქვამს.

- "ვოლგასთან" ერთად სრული შეკრება რატომ ვერ გააარეთ?

- სხვადასხვა საჭირო საბუთის შესაგროვებლად გუნდი ცოტა ხნით დავტოვე, შემდეგ კი სომხეთის წინააღმდეგ საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ვითამაშე.

- სომხეთთან მატჩზე რას იტყვით?

- თამაში ფაქტობრივად, ორი შემადგენლობით ჩავატარეთ. შეიძლება ითქვას, საქართველოს ნაკრებმა ნორმალურად ითამაშა, გამარჯვებამ კი საკუთარი ძალების რწმენა შეგვმატა. თუმცა ქვებაიას მწვრთნელობისას ჯერ თამაში არ ნაგვიგია, დაუმარცხებელი სერია კი ცხრა მატჩამდე გავზარდეთ.

- ომარ თეთრატყისთან ერთად მუშაობა თქვენთვის საინტერესოა?

- დიას, მისი ვარჯიშები ძალიან დინამიკურია. საინტერესო მოსასმენია, როცა თეთრატყე მატჩებს დეტალურად აანალიზებს. მას ხომ უდიდესი საფეხბურთო სკოლა აქვს გავლილი, უმაღლეს დონეზე უთამაშია და თავის ცოდნას უშურველად გვიზიარებს. ამას გარდა, თეთრატყე ფეხბურთელთა მოტივირების გასაოცარი უნარი აქვს.

- შეკრებისას ჩატარებულ სპარინგ-მატჩებს როგორ გაიხსენებთ?

- თებერვალში გამართულ შეხვედრებში მონაწილეობა ვერ მივიღე, მანამდე კი ევროპულ კლუბებთან ვითამაშეთ და ამის წყალობით ძველ კონდიციებს მიუახლოვდით.

- ახალ სეზონში რისი იმედი გაქვთ?

- პირველი დივიზიონიდან პრემიერ-ლიგაში გადასვლად გუნდს ახალ გარემოსთან შესაგუებლად გარკვეული დრო სჭირდება. აქ სულ სხვა რიტმი, მაგრამ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ პირველივე ტურიდან ღირსეულად ვითამაშოთ.

- ახალი ჩემპიონატი უჩვეულო სისტემით ჩატარდება. ამაზე რას ფიქრობთ?

- ვფიქრობ, ამით პრემიერლიგა უფრო საინტერესო და არაპროგნოზირებადი გახდება. ცუდი ისაა, რომ სატრანსფერო ფანჯარა მხოლოდ ერთი იქნება, რაც მწვრთნელებს დიდ თავსატეხს გაუწენს.

- მოსამზადებელ ეტაპზე ცენტრალურ ნახევარმცველად ვითამაშობდი და პირველ ტურშიც ამ პოზიციაზე დამაყენეს. ასე რომ, მეეჭვება, "ოლიმპი" პოზიცია ხშირად შემიცვლიონ.



მარცხნიდან: გოჩა ხოჯავა, მათე ვანაძე და ოთარ მარცვალაძე ჰოკის მატჩზე



- თამაში მოგინებთ თქვენი ყოფილი გუნდის, ნაღჩიკის "სპარტაკისა" და ყოფილი მწვრთნელის, იური კრასნოშანის წინააღმდეგ, რომელიც ახლა მოსკოვის "ლოკომოტივი" მუშაობს.

- კრასნოშანმა "სპარტაკისთვის" ბევრი გააკეთა, ამ ადამიანთან კარგი მოგონებები მაკავშირებს, მაგრამ "სპარტაკისა" და მის წინააღმდეგ ჩვეულებრივად ვითამაშებ. თუმცა "ლოკომოტივთან", როგორც თანდაპირისპირება ჩემთვის ძალიან საინტერესო იქნება.

- რობერტო კარლოსის მახაჩალის "ანჟიში" გადასვლით ალბათ, გაკვირვებული ხართ.

- დიას, ძნელი დასაჯერებელია, რომ ფეხბურთელი, რომელიც თავის დროზე მადრიდის "რეალში" ბრწყინავდა, კარიერას "ანჟიში" დაასრულებს. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ რუსული ფეხბურთი სწრაფად ვითარდება. ამაზე თუნდაც რუდ გულიტის "ტერეკში" დანიშვნა მეტყველებს.

- ასეთი დონის ფეხბურთელი "ვოლგასთვის" ცუდი იქნებოდა?

- რა თქმა უნდა, ძალიან კარგი იქნებოდა. ასეთი ვარსკვლავების გვერდით ხომ სხვა ფეხბურთელებიც ბევრს ისწავლიდნენ.

- ცნობილია, რომ "ვოლგას" თავდამსხმელი ოთარ მარცვალაძე "ბარსელონას" გულშემატკივარია. თქვენ ვის ქომაგობთ?

- მეც "ბარსელონას". ამ გუნდის ფეხბურთი ხომ ნამდვილ ხელოვნებაა. "ბარსა" ნამდვილ სპექტაკლებს დგამს ხოლმე.

- რამდენად გაძლიერდა "ვოლგას" შემადგენლობა ზამთრის სატრანსფერო პერიოდში?

- გუნდიც გაძლიერდა და, რაც მთავარია, ფეხბურთელებს ერთმანეთთან ბრწყინვალე ურთიერთობა გვაქვს, რაც წარმატებული თამაშისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინა პირობაა.

- რას ეტყვიტ სეზონის წინ "ვოლგას" გულშემატკივრებს?

- მათ ვთხოვ, რომ გვერდში დაგვიდგნენ არა მხოლოდ გამარჯვებების, არამედ დამარცხებების დროსაც. ასეთი ერთიანობით ბევრის მიღწევას შევძლებთ. ჩვენი შრომის შედეგებს ყველა დანახავს. სეზონისთვის სერიოზულად ვემზადებით და თავს არ შევირცხვენთ.

მომაზადა ლევან ჯანაზაშვილი

P.S ქვედა ფოტოზე კი "ვოლგას" კიდევ სამ ქართველს ხედავთ. ოთარ მარცვალაძემ გუნდის ახალწვეულები - გოჩა ხოჯავა და მათე ვანაძე ჰოკიზე დამატურა. მარცვალაძე თურმე ჰოკის სანახავად ხშირად დადის და ეს სახეობა ძალიან მოსწონს; ხოჯავამ და ვანაძემ კი ჰოკი ცოცხლად პირველად იხილეს და სანახაობით მათაც ისიამოვნეს.

ქართული სპორტი

ქალაქი

ვითომ ეს ბოლო ასპარეზობა იყო?

მოჭადრაკეები გორში შეიქმნება ღია ცის ძველ დარბაზს

საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეთა გამოსავლენად 16 წლიან მოჭადრაკე გოგონათა და ვაჟთა შიდა ქართლის პირველობა გორში მოჭადრაკეთა კლუბ „მთიები“ ჩატარდა...

„გასაკვირი არაფერია, რომ თვითდაფინანსებაზე მყოფი საჭადრაკო კლუბისათვის იოლი არ იქნება ქალაქის პრესტიჟულ უბანში მდებარე ჩვენივე ფართობის აუქციონზე შესყიდვა...“

ვასილ ბაბუნაძე გორიდან

დანაილოვი თბილისს ეხსრობა და ქალაქში რევოლუციურ გარდაქმნებს მოითხოვს



მარცხნიდან: ვია გიორგაძე, სილვიო დანაილოვი და ზურაბ აზმაიფარაშვილი ვაჟა დანელიას ფოტო

ორიოდე დღის წინათ თბილისში საქმიანი ვიზიტით იყოფებოდა ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტი ბულგარელი სილვიო დანაილოვი...

საქართველოს დედაქალაქში იმ მიზნით ჩახვედით, რომ მოგელაპარაკათ ქალთა ევროპის ჩემპიონატის ჩატარებაზე...

დაახლოებით ამ მიზნით ჩავიდა. მას შემდეგ, რაც შარშან დეკემბერში თურქეთის ჭადრაკის ფედერაციამ ჩვენთან ხელმოწერილი კონტრაქტი გააუქმა...

როგორც ამბობენ, თბილისში საპრიზო ფონდი 100 ათასი ევრო იქნება. ეს რეკორდია?

ეს არის მინიმალური თანხა, რომელიც განიხილება. შესაძლოა, იგი გაიზარდოს.

როგორ აფასებთ თქვენი შეგირდის - ვესელინ ტოპალოვის შანსს ყაზანის პრეტენდენტთა ტურნირში?

ვესელინი ამ შეჯიბრებისთვის სერიოზულად ვარჯიშობს. თუ ისე მოემზადება, როგორც ანანდთან მატჩისთვის...

მაშინ არის დიდი ალბათობა, ასპარეზობის ფინალში ტოპალოვი ვლადიმირ კრამნიკს შეხვედეს.

სასიეროდ ყაზანში არაფერია ჩავა. დიდ სიურპრიზებს უნდა ველოდეთ. ტოპალოვ კრამნიკის ფინალური მატჩის სანახავად აუცილებელია...

მაინც რა მოხდება, ფინალში ტოპალოვი და კრამნიკი თუ დაუპირისპირდებიან?

მაშინ ყაზანში სერიოზული მხარდაჭერა გვექნება. ბულგარეთში კარგად ახსოვთ, რომ უძველეს დროში ყაზანი ბულგარეთის სახელმწიფოს დედაქალაქი იყო...

თქვენი აზრით, ჭადრაკში რა უნდა შეიცვალოს, რომ არ მოკვდეს?

ბევრი რამ არის შესაცვლელი: უპირველესად, სასტიკად უნდა აიკრძალოს 14-სელიანი ყაიბები, რომლებსაც სხვადასხვა შეჯიბრებაზე ვხვდებით...

აპრილის თვეში ვინააზრობს შიში

მოსკოვში დამთავრდა მოჭადრაკეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომლის A ჯგუფში სხვადასხვა ქვეყნის 86 წარმომადგენელი მონაწილეობდა...

ვაჟა დანელია

ჩვენი ქალაქი უდანაპარკოდ

ირანულ რეჟიმში გრძელდება დიდი საჭადრაკო ფესტივალი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები სიძლიერის მიხედვით ექვს ჯგუფში არიან განაწილებული...

D ჯგუფში ქალები ეცილებიან ერთმანეთს. აქ 3-3 ქულა მ მოჭადრაკე მოაგროვა. მათ შორის არიან ბელა ხოტენაშვილი და ნინო ბაციაშვილი.

ვაჟა დანელია


სკანვორდი

1. შუამარბი, 2. ვეტერანი იტალიელი ფეხბურთელი (ფოტო), 3. ბელარუსიის დედაქალაქი, 4. „მანჩესტერ სიტის“ მწვრთნელი, 5. სპორტულ კლუბთა გაერთიანება, 6. პელეს თანამედროვე ბრაზილიელი ფეხბურთელი, 7. ესპანური საფეხბურთო გუნდი, 8. 2002 წელს საუკეთესო მეკარე ფეხბურთში (ფოტო), 9. ბრაზილიის საფეხბურთო კლუბი, 10. დიეგო არმანდო..., 11. ვეტერანი ჩილეელი ფეხბურთელი მარსელო..., 12. ის, რაც ჭადრაკში 64 უჯრია, 13. მაღალი ინგლისელი ფეხბურთელი, 14. ჩოგბურთელი..., 15. ვეტერანი ფრანგი ფეხბურთელი კლოდ..., 16. ვეტერანი ურუგვაელი ფეხბურთელი ალვარო..., 17. ფეხბურთელთა მწვრთნელი..., 18. ჩეზარეს ვაჟი პაოლო..., 19. იტალიელი ფეხბურთელი, მცველი, 20. ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მეკარე, 21. შვეიცარიული საფეხბურთო გუნდი, 22. აშშ-ის ფეხბურთელი, 23. „მილანის“ იტალიელი ფეხბურთელი, 24. ზუგდიდის საფეხბურთო კლუბი, 25. 1966 წელს ინგლისის ნაკრების ფეხბურთელი, 26. ფეხბურთში აზიის თასზე მონაწილე ნაკრები სამხ. (ჩრდ.)..., 27. ბრაზილიელი ფეხბურთელი... კარლოსი, 28. ბრაზილიელ გულშემმატკივართა ცეკვა, 29. ძველად: მოედანი, 30. ყაიბი ფეხბურთში.

შეადგინა გიორგი ანუშიძე

30x30 grid with numbers 1-30 and arrows indicating directions for a word search puzzle.





ქართველები უმთავრესად ღირსების ბრძოლით გამოირჩევიან

მათ თავიანთი ღირებულებები აქვთ

საპარტიზომო ნაკრების მესამეხარეული მამუკა გორგოძე, რომელიც საფრანგეთის გორგოძე ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მოსპარზე „მონპელიეს“ ნამყვანი მორაგბეა, აქვთ მუდმივი ყურადღება სხვა ქართველებზე მეტად იპყრობა.

გორგოძე 2010 წლის მინურულს საფრანგეთის ჩემპიონატის პირველი წრის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელეს. სპორტულმა გაზეთმა „ეკიპმა“ კი ჩემპიონატის ყველაზე საშიში მოთამაშეების ხუთეული გამოაქვეყნა, სადაც ქართველი „გულივერი“ მეორე ნომრად დასახელდა. პირველად არაფის დაუთმო ზედმეტად უხეში თამაშით გამოჩენულმა კანადელმა, „კლემონის“ მეორეხარეულმა ჯიმი კუდმორმა.

აი, როგორ ახასიათებენ მეტოქეები გორგოძეს ორიოდე სიტყვით: „ის გაბედული, ღონიერი მოსტრი“. „ეს არის არის, ვისაც თამაშისას უნდა ერიდოთ“. „ის მეტისმეტად არ უნდა გააღიზიანოთ“.

გაცილებით უხეხიტყვიანია მისი დახასიათებისას ყოველდღიური სარაგბო გაზეთი „მიდი ოლიმპიკი“, რომელმაც მამუკა გორგოძეს არაერთი სტატია მიუძღვნა. გათავაზობთ ამონარიდთა კრებულს ამ სტატიებშიდან.

„გორგოძის“ ტრანსფორმაცია

„მონპელიეს“ ქართველი მესამეხარეული, მამუკა გორგოძე აღარ ითვლება მხოლოდ უზარმაზარი ძალის მოთამაშედ. ეს კოლოსალური ძალის მორაგბე ქებას ალალად იმსახურებს.

ის ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული სპორტსმენია. ამასთან ამპარტავანიც არ არის და თავის თავზე დიდი ნარმოდგენა არ აქვს. ის ემოციურია, ნარმატება უხარია, მაგრამ ყოველთვის რეალისტად რჩება. ფრთხილია და სიტყვაძუნძი.

„ჩემი ნარმატება მთელი გუნდის, თითქმის ყველა მოთამაშის მიერ განეული დიდი შრომის ნაყოფია. მე ნინ გუნდთან ერთად მივინე. ჩვენ ახლა ისეთი სტილი ვთამაშობთ, რომელიც მომსწრის და ჩემი ხასიათის არაფერად ესადაგება. შედეგი ხილულია. ძალიან დიდ სიამოვნებას განვიცდი მოედანზე ყოფნის დროს“.

„მონპელიეს“ ახალი მწვრთნელების ფაბიენ ვალტიესა და ერიკ ბეშუს მოსვლის შემდეგ, მას აღარაფერი დარჩა თავდაუზოგავი გარჯის გარდა. ამ

მწვრთნელებმა გორგოძეს სხვა პორიზონტი გაუხსნეს, მისი შესაძლებლობების გამოყენების საშუალება მისცეს...

ჩრდილში მოქცეული მოთამაშე სინათლეზე გამოდის

ქართველი ბულონური, ძლიერი ზემოქმედების ადამიანი, რომელსაც უნარი შესწევს დაურღვეოს ნონასნობა ყველაზე უფრო ძლიერ მოთამაშესაც კი.

„ეს არის გორილა, დათვი! როგორც კი ბურთს ხელში ჩაიგდებს, ცდილობს მონინალმდების დაცვის ხაზი გაარღვიოს და ჩვენ შეტევის გაგრძელება გავკვიადვილოს. დღევანელი თამაშით ის საკუთარ თავს გაუტოლდა, უზარმაზარი გახდა!“ - თქვა „კასტრთან“ მატჩის შემდეგ „მონპელიეს“ ცხრა ნომერმა ჟულიენ ტომასმა.

„მე იშვითად შეხვედრივარ ასეთი ფიზიკური მონაცემების მოთამაშეს. იგი ძალიან ბევრს მუშაობს. ზოგჯერ საჭიროა მისი შეჩერება, თორემ თორმეტ საათს გაატარებს კუთხების ვარჯიშში“ - ამბობს ერიკ ბეშუ.

ფაბიენ ვალტიე კი სხვა რამეზე ამხვილებს ყურადღებას:

„იგი არის არაჩვეულებრივი მეტოქე, განსაკუთრებული გონებრივი შეძლებლობებით. ამჟამად ვერ ვხედავ, სად გადის მისი შესაძლებლობების ზღვარი. ვფიქრობ, რომ მას ეს საზღვარი არც გააჩნია! იგი საკუთარი თავის მიმართ ძალიან მკაცრია და ბრძოლაში იმიდერია. მეტიც, იგი უნივერსალია, შეუძლია მეორე და მესამე ხაზის ყველა პოზიციაზე თამაში.“

„ყველამ იცოდა, რომ იგი შეძლებდა ფანტასტიკური რაღაცების კეთებას უზარმაზარი ფიზიკური ძალის გამო. თუმცა გამოჩნდა, რომ მან განვითარების ახალ ფაზას მიაღწია. იგი „კასტრთან“ მატჩში უფრო ჭკვიანი გამოჩნდა, ნაკლები შეცდომა დაუშვა და არ უნერვიულია. ყოველივე ამან, მას მისცა საშუალება კონცენტრირება მოეხდინა მატჩის დროს. მისთვის ყურადღება არ მიგვიცევია სპორტის და მიმართა, რომ ის მეტ ქებას იმსახურებს, რადგან არის საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოთამაშე“ - მიანია „მონპელიეს“ კაპიტან ფულენსე უედრაოგოს.

მინდორს მიღმა, ეს ადამიანი საკუთარ თავში ჩაკეტილი ჩანს. ის გაურბის

მედიას, სულაც არ მოსწონს, იყოს ცნობილი.

„მართალია, გარეგნულად, შესაძლოა, ცივი ადამიანი მოგეჩვენოთ, მაგრამ საჭიროა ისწავლო მისი გავება. ხშირად ის უხეშის მთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ეს სულაც არ არის ასე. იგი არის ძალიან ნიჭიერი, სიმბათიური და კეთილშობილი ადამიანი მეგობრებთან ურთიერთობისას. ცხადია მაშინ, თუ მის ნდობას ერთხელ მაინც მოიპოვებთ“ - ასე ფიქრობს გორგოძეზე გუნდის კაპიტანი.

ღირსების ადამიანი

ქართველები უმთავრესად ღირსების გრძობით გამოირჩევიან, რომლებსაც თავიანთი ღირებულებები აქვთ. მამუკა გორგოძე სრულიად ესადაგება ქართველების ხასიათის ამ თავისებურებას.

„იგი არის ადამიანი, ვისაც არ უყვარს სცენაზე დგომა. ის გაურბის ამას. მამუკა ძალიან დიდ შრომას აქსოვს თავის საქმეში, დასვენების დღეებშიც კი ბევრს ვარჯიშობს და ეს არის მისთვის მთავარი“ - ამბობს გორგოძის თანაგუნდელი ჟოფრე დემიერი.

ბევრი მას მჩქეფარე ადამიანად ახასიათებს. თუ არ იცნობ, ასე იოლია მისი განსჯა. თანაგუნდელები, რომლებთანაც გორგოძეს ყოველდღე უხდება ურთიერთობა, მას ახასიათებენ, როგორც ყურადღებიან, თავაზიან და პატიოსნების გრძობით სავსე ადამიანს.

„მამუკა ვენილური კაცია. ალსაუსეა იუმორის გრძობით. ის სერიოზულიცაა, მაგრამ მუდამ ხუმრობს და სისულელებს აკეთებს“ - თქვა მიჟელ ლაღუმი.

„მონპელიესა“ და საფრანგეთის ნაკრების მგზავი ფრანსუა ტრინ-დუკი კი დასძენს:

„ის მორცხვია და თავუქავებული, როგორც ქართველების უმრავლესობა. ერთხელ რომ გაიცინო, უხედე მის ხასიათს. იგი არის გახსნილი ბიჭი, რომელთანაც ურთიერთობა ძალიან იოლია. მამუკა გორგოძე ძალიან ყველასთან მიმართული პერსონაა, სპორტის მოთამაშე, ჩაფიქრებული და ნათელი გონების ადამიანი“.

პიერ ბერარდი კი მას უწოდებს მოგლებას. „ის არის სანდო ადამიანი, რომელსაც შეგიძლია თამაზად დაეყრდნო“.

შესაძლოა, მას ეს ფრაზა ყველაზე ზუსტად ახასიათებს.

ინტერვიუ დავით კაკაბაძესთან



რუსთავის ხარები - წინ ბოლიათური ნაბიჯებით

რუსთავში რაგბი დიდი ხნის ისტორიით ვერ დაიკვივნის. ამ მართლაც სპორტულ ქალაქში კაცთა გუნდი საკმაოდ გვიან, 1990 წელს შეიქმნა საშა ლობჯანიძის თაოსნობით. რაგბის თამაში მაშინ მხოლოდ სამმა იცოდა, სხვა დანარჩენი კი ახალბედა იყო. მიუხედავად ამისა, რუსთავის „აზოტი“, რომელსაც ახლა „ხარები“ ჰქვია, 1993 წელს საქართველოს ჩემპიონი გახდა. რუსთაველი გუნდის სათავეებთან იდგა „ხარების“ ამჟამინდელი აღმასრულებელი დირექტორი დავით კაკაბაძე.

1990 წელს პირველ ლიგაში დაგვიშვეს, - გვიამბობს ის, - იმავე წელს პირველი ადგილი დავიკავეთ და უმაღლესი ლიგის საგზური მოვიპოვეთ. მალე, სამ წელიწადში ჩემპიონებიც გავხდით. მომდევნო სეზონში მეორე ადგილი დავიკავეთ. 1997 წელს კი მესამეზე გავდით და გუნდიც დაიშალა, არსებობა შეწყვიტა. მიზეზი ბანალური იყო - უსახსრობა.

ამჟამად რუსთავის „ხარები“ უმაღლეს ლიგაში ასპარეზობს და ანგარიშსაცანე ძალად ითვლება. გუნდის აღდგენა როდის დაიწყეთ?

- მართალია, კაცთა გუნდს უფრო გვეყვება, მაგრამ ბავშვებთან მუშაობა არ შეგვიწყვეტია. ისინი ნელ-ნელა ნაზოიზარდნენ და 2006 წელს გუნდი აღვადგინეთ. ასპარეზობა პირველ ლიგაში დაიწყეთ და სამ წელიწადში უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლებაც მოვიპოვეთ. - საკმაოდ მცირე ისტორიის მიუხედავად რუსთავს ბევრი სახელოვანი მორაგბე აღუზრდა... - დიას ასეა, პირველი რუსთაველი, ვინც ეროვნულ ნაკრებში მიიწვიეს, მეველ დავით ლიგაძეა. „ბორჯღალოსნების“ ლიდერები იყვნენ წლების განმავლობაში ლევან ცაბაძე, პალიკო ჯიშველაძე, ზაზა ზუციშვილი და კახაბერ ფრიაკ. ამჟამად დავით შორიაშვილის, ირაკლი ნატრიაშვილისა და გოდერძი შველიძის გარეშე ჩვენი ნაკრების წარმოდგენა შეუძლებელია.

„ხარები“ ახალი სეზონისთვის როგორ ემზადება? - ძირითადად ფიზიკურ გამძლეობაზე ვზრუნავთ. დავრბივართ და ძალოსნობის დარბაზსაც ვზიარებ ვსტუმრობთ. საკუთარი ფიტნეს ცენტრი არ გავაგაჩნია და ვქირაობთ. დაგეგმილი გვაქვს რამდენიმე სანვრთნელი შეხვედრაც. ერთი უკვე ვითამაშეთ. მეტოქე საქართველოს თერაპეუტულადელთა ნაკრები იყო.

ახლა სატრანსფერო სეზონია და სერიოზული ცვლილებები თუა გუნდის შემადგენლობაში? - ძირითადი ბირთვი ვენინარჩუნეთ, სერგო მოქიას გარდა, რომელიც ბათუმელია, ყველა რუსთაველია. დაგეგმატა საკმაოდ სერიოზული ძალა - პალიკო ჯიშველაძე. მან ფრანგული კარიერა

დაასრულა და მშობლიურ ქალაქს და გუნდს დაუბრუნდა. მისი გამოცდილება ძალიან წაგვადგება. რუმინეთიდან დაგვიბრუნდა მეორეხარეული კახაბერ უჩავა.

დავიამატეთ რამდენიმე ახალგაზრდა მორაგბე ჭაბუკთა A ლიგაში მოსპარეზე ჩვენი გუნდიდან - ვაჟა ხუციშვილი, გიორგი მარტაშვილი და ზვიად ლამბარაშვილი ძალიან კარგი, ნიჭიერი მორაგბეები არიან.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, „ხარებს“ მხარდაჭერა არ აკლია... -

ყველანაირად გვემხარება მხარის გუბერნატორი დავით კირკიტაძე. ასევე მხარში გვიდგას ქალაქის მერია და საკრებულოს თავმჯდომარე კახა გორგენიძე. ოფიციალური სპონსორი კი, როგორც შარშან, ისე „ჰაიდელბერგცემენტია“.

შარშანდელ ჩემპიონატში გუნდმა მე-5 ადგილი დაიკავა. წლეულს რა მიზნებს ისახავს „ხარები“ და ვინ მიგანიათ ძირითად კონკურენტად?

- მიზანი ერთია, ვითამაშოთ უკეთ, ვიდრე შარშან. გუნდს საკმაოდ ნიჭიერი ადამიანი, ზაზა ხუციშვილი წერთნის. მას მალე გვერდში ამოვდგება პალიკო ჯიშველაძეც, რომლის გამოცდილებაც და ცოდნაც, ვფიქრობ, არა მარტო რუსთავის რაგბის წაადგება.

რაც შეეხება კონკურენტებს, ყველა გუნდი საკმაოდ ძლიერია. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია საგრძობლად გაძლიერდა უმაღლესი ლიგის დებიუტანტი გორის „თსულომები“. ისევე მაღალი მიზნებისთვის იბრძობებენ „ლელო“, „ლოკომოტივი“ და „აია“. კარგი გუნდებია „აკადემია“ და „არმაზი“. ერთადერთი გუნდი, რომელსაც სეზონს წინ სერიოზული პრობლემები აქვს, „ყორნია“.

ერთი სიტყვით, კონკურენცია საკმაოდ დიდია, შესაბამისად თამაშებიც დაძაბული და საინტერესო გამოვა. ვფიქრობ, შარშანდელზე ბევრად უკეთესი ჩემპიონატი გვექნება.

რამდენადაც თქვენთვის ცნობილია, რუსთავში საკმაოდ სოლიდური ზაზის მშენებლობა იგეგმება... -

ზაზის მშენებლობა უკვე დაიწყო. პროექტით ორი სტანდარტული ზომის მოედანი გვექნება, ერთი ბალახისსაფარიანი და ერთი ხელოვნური. იქვე ქვიშის რაგბის მოედანიც მოეწყობა. ამენდება ტრიბუნა, რომელიც სამი ათას ქომავს დაიტევს. ტრიბუნის ქვეშ მოეწყობა გასახდელიც, ტრენაჟორების დარბაზი და სხვა საჭირო სათავსები. ზაზის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, დაწინაურებული ვარ, რუსთაველი რაგბი წინ გოლიათური ნაბიჯებით წავა.

გვირდი მოამზადა ბესიკ ჯანაშვილი

Infographic featuring portraits and statistics of football players: Yannick Mouton (32 ans, 1.96 m, 117 kg), L'avis de ses adversaires, Depuis 2004-2005*, Rodrigero Roncero (33 ans, 1.76 m, 114 kg), L'avis de ses adversaires, Depuis 2004-2005*, Arnaud Méla (30 ans, 1.96 m, 125 kg), L'avis de ses adversaires, Depuis 2004-2005*.

ფორმულა 1

ეპაპი ისაჰ საფრთხეშია



კიდე ერთხელ გვიწევს ბაჰრეინში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის შესახებ წერა. გუშინდელ ნომერში გითხარით, რომ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია და სეზონის პირველი ეტაპის ორგანიზატორები იმედინად იყვნენ და აცხადებდნენ, რომ ბაჰრეინის გრან-პრის ჩატარებას წინ არაფერი დაუდგებოდა და უსაფრთხოების მხრივაც ყველაფერი წესრიგში იქნება. მაგრამ სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა - ბაჰრეინში ოპოზიციონერთა აქცია მსხვერპლთა დასრულება, ხოლო „საპირის“ ტრასაზე ამ კვირას დაგეგმილი GP2Asia-ს ეტაპი ჩაშლის პირას მივიდა.

ზუსტად ორ კვირაში ბაჰრეინში ფორმულა 1-ის დასკენით ტესტები უნდა დაიწყო. შესაბამისად, რამდენიმე დღით ადრე გუხრდება იქ მანქანები და ტექნიკა უნდა გავზავნო - ასე რომ, ფედერაციის შესვლურებს გადანყვეტილების მისაღებად ძალიან ცოტა დრო რჩება.

გუშინ GP2Asia-ის ეტაპის ორგანიზატორებს თავისუფალი პრაქტიკის გაუქმება მოუხიათ - სამედიცინო პერსონალმა გადაკეტილი გზების გამო ვერ მიადგინა ტრასამდე, ხოლო ავტოდრომზე მყოფ გუნდებსა და მომსახურე პერსონალს ქალაქ მანამაში დაბრუნება არ ურჩიეს, რადგან ავტოსტადიონი იმ რაიონზე გადის, სადაც მრეწველობა შეიქმნება. აი ასეთი ბოლო მონაცემებით ბაჰრეინში შექმნილი სიტუაცია.

ფედერაციის პრეზიდენტმა ჟან ტოდტმა ურუნაღისტებს განუცხადა, რომ ფედერაციის ხელმძღვანელობა გაუაღდება GP2Asia-ს ეტაპის დასრულებას და ამის შემდეგ გადამწყვეტს - საჭიროა თუ არა რადიკალური ზომების მიღება...

ჟან ტოდტი: „მე ყოველთვის მშვიდად ვრეაგირებ მსგავს ახალ ამბებზე. ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია გაიგო სიმართლე - ხანდახან ინფორმაცია არ შეესაბამება რეალობას და ზედმეტმა ემოციურმა რეაქციამ, შესაძლოა, საქმეს ავნოს. მეორე მხრივ, ბევრ კითხვას ვასცემს პასუხს GP2Asia-ის რბოლა.“

ფედერაციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა - უსაფრთხოებაა და ამ მხრივ ყველა შესაბამისი ღონისძიების გატარებას მოვითხოვთ.“

პაიდფელდი ოფისიალურად

რომონტ მოსალოდნელი იყო, „ლოტუს-რენომ“ ტრავმირებული პოლონელი რობერტ კუბიცას შემცვლელად გამოცდილი კურმანელი ნიკ პაიდფელი დაასახელა. შეგახსენებთ, რომ 33 წლის პილოტმა გასულ კვირას ხერხის ტესტებზე ერთი დღე იმუშავა და ყველა მონაწილეს შორის საუკეთესო დრო აჩვენა. სწორედ ამ წარმატებამ განაპირობა პაიდფელდის „რენომში“ მიწვევა. ახლა ნიკი ბარსელონის ტესტებში მიიღებს მონაწილეობას - ის შაბათსა და ორშაბათს გავა ტრასაზე.

„არ მინდოდა სხვისი ტრავმის ხარჯზე ფორმულა 1-ში დაბრუნება, მაგრამ მაინც სიამოვნარ ამ შანსს მივღებ. ესაა მთავარი მიზანი, რომელიც მეტად ინოვაციური მეჩვენება.“

ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა, მაგრამ უკვე აღფრთოვანდი ტექნიკური შესაძლებლობებითა და ენსტოუნის ბაზის თანამშრომელთა პროფესიონალიზმით. არანორმალურად მოტივირებული ვარ და მოლოდინებს ველოდები სეზონის დაწყებას“, - ამბობს გერმანელი პილოტი.

„ლოტუს-რენომ“ ამიერიდან ვიყავი „რამდენიმე უსიამოვნო კვირა გადავიტანეთ და ოპერატიულად მოვახდინეთ რეაგირება შექმნილ სიტუაციაზე. ვასილ კვირას ხერხის ტესტებში მონაწილეობა მივუძღვეთ და მანქანასთან ტექნიკური მუშაობა შეუძლია.“

ყოველთვის ვამბობდით, რომ გუნდის პრობლემები გამოცდილი პილოტის მოწვევა იყო და ამ მხრივ ნიკი იდეალური ვარიანტია. მივესალმებით

კრიკი

ნოკაუბი საკუთარ თავს

შენაშრი ამბავი გაიხსნა ბრიტანელმა მძიმეზღოვანმა ტაისონ ფიურიმ. ეს მოკრივე თავის წონაში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მებრძოლად მიიჩნევა. 22 წლის ფიურიმ პროფესიულ რინგზე 13 ბრძოლა ჩაატარა და ყველა



ტაისონ ფიური

გერმანელს და მასთან ერთად წარმატებული სეზონის იმედი ვაქვს.“

„ლოტუს-რენომ“ მეორე პილოტი რუსი ვიტალი პეტროვი, რომელიც აქამდე ჩატარებულ ტესტებზე მერვე ადგილს ვერ გაცდა და რამდენჯერმე ავარიამი მოხვედრაც მოასწრო.

ბაჰრეინისგან განსხვავებით, ჩინეთის გრან-პრის ორგანიზატორებს ზეთის საბაზი აქვთ. მათი ინფორმაცია ამ ქვეყანამ ფორმულა 1-ის ეტაპი კიდევ შვიდი წლით შეინარჩუნა. ჩინეთში პირველი ეტაპი 2004 წელს გაიმართა. შარშან იაპონური რბოლის საფრთხე დაემუქრა, რადგან ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ ჩინელებს ტრასის მოდერნიზაცია მოსთხოვა. ჩინურმა მხარემ ყველა პირობა შესრულა - ტრასის სა-

ფარი და ავტოდრომის ინფრასტრუქტურა შეცვალა. შესაბამისად, ეტაპის ორგანიზატორებმა Formula One Management-თან ახალ შეიქმნილ შეთანხმებას მიაღწიეს.

ბოლო წლებში ჩინეთის გრან-პრის კიდევ ერთი პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ ტრიბუნები არ იცსებოდა და ორგანიზატორები სერიოზულ ფინანსურ ზარალში იყვნენ. მაგრამ ახლა შანსის ვიკლე-მერი დევი მენი ამბობს, რომ FOM-თან ახალი ხელშეკრულება უფრო ხელსაყრელ პირობებშია გაფორმებული.

შანსის ავტოდრომი გერმანელი არქიტექტორის ჰერმან ტილენეს მიერ არის დაპროექტებული. წელს ჩინეთი ფორმულა 1-ის ეტაპს აპრილის შუაში უმასპინძლებს.

იბის წინააღმდეგ. 2009 წლის 14 მარტს ბირმინგემში ფიურიმ კინალამ საკუთარი თავი ჩააგდო ნოკაუტში. ერთ-ერთი საწყის რაუნდში ტაისონმა უძლიერესი აპერკოტი (დარტყმა ქვემოდან) შეასრულა, მაგრამ მეტოქის ნიკაპს ააცილა და მოქმედი მარჯვენა ხელი თვალებს შორის მიირტყა. ფიურიმ დიდი გაჭირვებით შეინარჩუნა წონასწორობა და შეძლო ბრძოლის გაგრძელება.

ახალგაზრდა მოკრივემ განაცხადა, რომ მისი ნაბრძოლა არა მხოლოდ ძლიერმა დარტყმამ, არამედ მოულოდნელობის ეფექტმა გამოიწვია. „ეს დარტყმა ბევრ მოკრივეს ვაგზავნიდა ნოკაუტში“, - თქვა ბრიტანელმა.

ის ბრძოლა ფიურიმ მეოთხე მეოთხედში აშკარა უპირატესობით მოიგო - მეტოქემ უარი განაცხადა ჩხუბის გაგრძელებაზე.

გვერდი მოამზადა ვიკი ტავალაძის მიერ

სხელი ხაზი

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like რუზინი-ტვიტა, მებლანტი-ლევიჩიუჩი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like რუზინი-ტვიტა, მებლანტი-ლევიჩიუჩი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like ტროსნი-პოლინი, კალაშნიკოვი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like მერიკაპანი-ტურკუ, მირალეზა.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like ბაბაშინა-დინამო, ეკვალერი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like მანტა-ნიკაპა, ლიგაბალოვასი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like ლიონი-ბ. ხუნიერი, კალათაური.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like ეკვალერი, მანტა-ნიკაპა.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like ლიგაბალოვასი, ლიონი-ბ. ხუნიერი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like კალათაური, ეკვალერი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like ლიგაბალოვასი, ლიონი-ბ. ხუნიერი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like სტაშინა-რუსანოვი, ლიგაბალოვასი.

TV პროგრამა

Table with 2 columns: Time, Program Name. Includes 19 თებერვალი, გრან-პრისი.

Table with 2 columns: Time, Program Name. Includes 23:25 გერმანიის ჩემპიონატი.

Table with 2 columns: Time, Program Name. Includes 23:25 გერმანიის ჩემპიონატი.

Table with 2 columns: Time, Program Name. Includes 23:25 გერმანიის ჩემპიონატი.

Table with 2 columns: Time, Program Name. Includes 23:25 გერმანიის ჩემპიონატი.

Table with 2 columns: Time, Program Name. Includes 23:25 გერმანიის ჩემპიონატი.

Table with 2 columns: Time, Program Name. Includes 23:25 გერმანიის ჩემპიონატი.

Table with 2 columns: Time, Program Name. Includes 23:25 გერმანიის ჩემპიონატი.

Table with 2 columns: Time, Program Name. Includes 23:25 გერმანიის ჩემპიონატი.

Table with 2 columns: Time, Program Name. Includes 23:25 გერმანიის ჩემპიონატი.

Table with 2 columns: Time, Program Name. Includes 23:25 გერმანიის ჩემპიონატი.

Table with 2 columns: Time, Program Name. Includes 23:25 გერმანიის ჩემპიონატი.

Table with 2 columns: Time, Program Name. Includes 23:25 გერმანიის ჩემპიონატი.

Table with 2 columns: Time, Program Name. Includes 23:25 გერმანიის ჩემპიონატი.

Table with 2 columns: Time, Program Name. Includes 23:25 გერმანიის ჩემპიონატი.

Table with 2 columns: Time, Program Name. Includes 23:25 გერმანიის ჩემპიონატი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like მანტა-ნიკაპა, ლიგაბალოვასი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like რუზინი-ტვიტა, მებლანტი-ლევიჩიუჩი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like რუზინი-ტვიტა, მებლანტი-ლევიჩიუჩი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like ტროსნი-პოლინი, კალაშნიკოვი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like მერიკაპანი-ტურკუ, მირალეზა.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like ბაბაშინა-დინამო, ეკვალერი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like მანტა-ნიკაპა, ლიგაბალოვასი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like ლიონი-ბ. ხუნიერი, კალათაური.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like ეკვალერი, მანტა-ნიკაპა.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like ლიგაბალოვასი, ლიონი-ბ. ხუნიერი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like კალათაური, ეკვალერი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like ლიგაბალოვასი, ლიონი-ბ. ხუნიერი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like სტაშინა-რუსანოვი, ლიგაბალოვასი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like ლიგაბალოვასი, ლიონი-ბ. ხუნიერი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like სტაშინა-რუსანოვი, ლიგაბალოვასი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like ლიგაბალოვასი, ლიონი-ბ. ხუნიერი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like სტაშინა-რუსანოვი, ლიგაბალოვასი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like ლიგაბალოვასი, ლიონი-ბ. ხუნიერი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like სტაშინა-რუსანოვი, ლიგაბალოვასი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like ლიგაბალოვასი, ლიონი-ბ. ხუნიერი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like სტაშინა-რუსანოვი, ლიგაბალოვასი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like ლიგაბალოვასი, ლიონი-ბ. ხუნიერი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like სტაშინა-რუსანოვი, ლიგაბალოვასი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like ლიგაბალოვასი, ლიონი-ბ. ხუნიერი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like სტაშინა-რუსანოვი, ლიგაბალოვასი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like ლიგაბალოვასი, ლიონი-ბ. ხუნიერი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like სტაშინა-რუსანოვი, ლიგაბალოვასი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like ლიგაბალოვასი, ლიონი-ბ. ხუნიერი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like სტაშინა-რუსანოვი, ლიგაბალოვასი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like ლიგაბალოვასი, ლიონი-ბ. ხუნიერი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like სტაშინა-რუსანოვი, ლიგაბალოვასი.

Table with 2 columns: Player Name, Score. Includes names like ლიგაბალოვასი, ლიონი-ბ. ხუნიერი.



ნაკრებში ისევ დავბრუნდებით

მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ არგენტინაში ნომერ პირველი თემა გახდა ნაკრების მთავარ მწვრთნელ დიეგო მარადონასთან კონტრაქტის გაგრძელება. არგენტინული ფეხბურთის პირველი პირები უშედეგოდ ცდილობდნენ დიეგოს მოლაპარაკების მაგიდასთან მიწვევას, ლეგენდა კი ახერხებდა ორივე მხარისთვის ამ საბედისწერო მომენტის დროში გაღვინას - ხან ვენესუელაში სტუმრობდა უგო ჩავესს, ხან საკუთარ რეზიდენციაში იკეტებოდა. გასაკვირი არ არის, რომ დიალოგი არ შედგა, ხოლო ურთიერთობათა გარჩევა გრანდიოზული სკანდალით დასრულდა. დრო გავიდა და მარადონამ არგენტინულ გაზეთ „კლარინისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აგვიხსნა - რატომ არის ბილარდო მოლაპარაკებები გრონდონას - მარაზმში გადავარდნილი მოხუცი.

- ბილარდომ თქვა, რომ სწორედ მან „მოაჭრა მარადონას ჭიპლარი“. როდის და გახდით მისი ვაჟი?

- მე ვიცოდი, რომ ის მთელი ცხოვრება ატყუებდა ხალხს. ჩემთვის მტკივნეულია ამ ყველაფრის ხილვა და ძალიან სამწუხაროა, რომ კლასიკა მოჰყავს მონმედ. ის, ვინც მამაკაცად მიიჩნევს თავს, არ იკადრებს და ასეთ საქმეში ქალს არ მიმართავს დახმარებისთვის, მითუმეტეს ჩემს ყოფილ მეუღლეს. არასოდეს გავაკეთებდი ისე, რომ ბილარდოს ცოლი გალორია ჩემსა და კარლოს შორის ჩამდგარიყო. თუ მას ჩემთვის რაიმეს თქმა უნდა, უმჯობესია პირდაპირ დამელაპარაკოს. მას ჰქონდა ასეთი შესაძლებლობა, თან არაერთხელ. მაგრამ თუ ბილარდო ამას არ აკეთებს, მაშინ ის ნაძირალა ყოფილა.

- ის ამტკიცებს, რომ თქვენ არასოდეს აგისხნიათ მისთვის, რატომ უნოდებთ მოლაპარაკებას. როდის და რაში გიღალატათ ბილარდომ?

- ბილარდო ჩემი წყალობით მოხვდა ნაკრებში. მე რომ მეთქვა - „არა“, მას იქ ვერ იხილავდით. გრონდონამ თავდაპირველად მე დამირეკა და მკითხა: „შეიძლება ბილარდო რომ შემოგვიერთდეს?“ მე მაშინ ვუპასუხე: „მას შემდეგ, რაც მან რადიოში თქვენზე სისულელეები ილაპარაკა? კარგი, იმუშაოს“. მოგვიანებით ბილარდომ მადლობა გადამიხადა: „მე ამას არასოდეს დავგივწყებ“. ამიტომაც

მიმანია ის მოლაპარაკებები.

- მან გითხრა, რომ არ სურდა ბრუნდებოდა ბატისტასთან მუშაობა?

- არა. ეს მათ მიხრეს, რომ არ უნდათ ბილარდოსთან მუშაობა, რაზეც ვუპასუხე: „არა, ბიჭებო, მე მასთან მოლაპარაკებულ ვარ“.

- ახლა რა როლს თამაშობს ბილარდო ნაკრებში?

- უბრალო ქანდაკების. ამ კითხვაზე ვერაინ ვიპასუხებ, რადგან არანაირი ფუნქცია არ გააჩნია. ვეტყვანებს სულ უფრო და უფრო რთულად ესმით მისი, ახალგაზრდება კი საერთოდ ვერ უგებენ. ის პენსიაში უნდა გასულიყო.

- ის ბატისტას დანიშნვას უჭერდა მხარს. როგორ შეძლო მასთან საერთო ენის გამოხატვა?

- ის მზად არის იმუშაოს ბატისტასთან, საბელიასთან, ვისთანაც უნდა, ოღონდ ყოველთვის უნდა მიიღოს ხელფასი, რომელზეც ძალიან ბევრი პრეტენდენტი არსებობს.

გრონდონას ვაჟი მამაკაცი არ არის

- გრონდონამ რა მოგატყუათ?

- გრონდონა დამპირდა, რომ ყველაფერში დამიჭერდა მხარს, ამბობდა, რომ მისი სახლის კარი ყოველთვის ღია იქნებოდა ჩემთვის, მაგრამ როგორც კი პირველი უთანხმოება გაჩნდა, მაშინვე თავიდან მომიშორა. ყველაზე საშიშეული ის არის, რომ გერმანიასთან მეოთხედფინალის შემდეგ მან ყველა მოთამაშის თანდასწრებით განაცხადა, რომ პატივს სცემს სამწვრთნელო შტაბის ყველა წევრს. და ამის შემდეგ გრონდონამ უცებ მათი შეცვლა გადაწყვიტა. დღეს მე შემიძლია მშვიდად გავიდე ქუჩაში, ყველას დაველაპარაკო. ხალხი კმაყოფილია, რადგან მათ ღიმილი დავუბრუნეთ. და არიან ისეთი პიროვნებები, რომლებსაც თითქმის არ გაუძნრევიათ, მაგრამ მაინც ყველა დამსახურება მიითვისეს, თითქმის მათ გააბედნიერეს არგენტინელები. მათთვის უცნობია, რას ნიშნავს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში თამაში, არ იციან რა გრძობაა „ალბისელესტს“ მაისურის ჩაცმა. ამიტომაც შემიძლია მათ თამამად შევხედო თვალეში. ვიცი, რომ ერთხელ ნაკრებში ისევ დავბრუნდები.

- ისევ გაქვთ ამის იმედი?

- რა თქმა უნდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს ორი ნაჯე აქედან. დიდი დრო არ აქვთ დარჩენილი.

- გრონდონა იმეორებდა, რომ თქვენ დარჩებით ნაკრების სათავეში იმ შემთხვევაში, თუ თქვენი თანამემხნეები ნავლენ...

- არგენტინის ნაკრებს არასოდეს ჰყოლია ასეთი დამსახურებული სამწვრთნელო შტაბი. ახლა კი ეს ადამიანები სახლებში სხედან...

- გრონდონა მარაზმში გადავარდნილი მოხუცია?

- ის ნელინადში სამჯერ წვება La Prairie-ს კლინიკაში (ცნობილი შვეიცარიული კლინიკა, რომელიც გაახალგაზრდავებასა და კოსმეტიკურ ოპერაციებზე სპეციალიზდება). მარტო ამისთვის შეიძლება ის ასე დავახსიათოთ.

- გრონდონას საკუთარი ვაჟიშვილები მართავენ?

- მე პატივს ვცემ ხულისოს, უმბერტოსთან კი პირადად ვისურვებდი შეხვედრას. მაგრამ ვფიქრობ, რომ ის მამაკაცი არ არის.

- რუჯერიმ ზიანი მოგაყენათ?

- დიახ, რადგან ახლო ურთიერთობა აქვს იმასთან, ვისაც გრონდონას მხარე უჭირავს. მაგრამ მე ყოველთვის და ყველგან გავიმეორებ იმას, რომ რუჯერიმ სიცოცხლე დათმო „ალბისელესტს“ მაისურისთვის და არ შემიძლო მისი შუა გზაში მიტოვება.

ბატისტასთან ერთად ყავას არ დავლევ

- ფალსიონი მისაღები კანდიდატურაა „ბოკა ხუნიორისის“ მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე?

- არა. მე მას ყველაფერს საუკეთესოს ვუსურვებ, მაგრამ ამ როლისთვის არ გამოდგება.

- ის ერთხელ დაბლოკეთ, როცა ბასილზე გააკეთეთ არჩევანი, არადა ამ ადამიანს ახლა თქვენი ნახვა არ სურს...

- ბასილესთან ურთიერთობა მე არ გამიხყვია, ეს მან გააკეთა. გაიხსენეთ, როცა ის სანტა ფედან მოვიდა, უკვე აღარ ავარჯიშებდა და მე დავეხმარე კონტრაქტის გაფორებაში.

- ნანობთ მისთვის რეკომენდაციის განწვევას?

- სულაც არა. ბასილე ერთადერთი

ყოფილია, ვისაც შეეძლო დამეყარებინა ბასილეს ნაკრების ლიდერება და ახალგაზრდებს შორის. არც ერთ მწვრთნელს ამის გაკეთება არ შეუძლია.

- ბასილე მიიჩნევს, რომ თქვენ მესის, აგუეროსა და ჰინცეს დახმარებით დაუდეთ ფეხი...

- რა აქვს მზედველობაში? მე ისე ვაკეთებ, რომ ფეხბურთელებმა შეგნებულად ითამაშეს ცუდად ან ბურთი სპეციალურად ცდებოდა კარს?! არ მჯერა, რომ ის ჩემზე ასე ფიქრობს, რადგან ნარსულში თავად იყო ფეხბურთელი. მაგრამ მისი საშინელი გარემოცვისგან, რომელიც Twitter-ში ათასგვარ სისაძაგლეს წერს, ყველაფერი მოსალოდნელი.

- რატომ ვერ გაიტანა მესიმ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერც ერთი გოლი, როცა „ბარსელონას“ შემადგენლობაში მატჩში ორი-სამი გოლი გააქვს?

- უბრალოდ მის წინ კარი არ გაიხსნა - არაფერი განსაკუთრებული. მის დარტყმებს ან მეკარეები იგერიებდნენ ან ძელები. ლეონ ჩემპიონატზე ბრწყინვალედ ითამაშა და ჩემთან ურთიერთობაში ღირსეულ მამაკაცად წარდგა.

- რატომ არ დადგა მესი თქვენს მხარეს? ახლა ის უკვე ვიცე-კაპიტანია...

- ამის შესახებ მას უნდა ჰკითხოთ. მესის სრული უფლება აქვს აირჩიოს ის, რაც მოსწონს. გერმანიასთან მატჩის შემდეგ ჩემთან ნომერში მოვიდა და ყველაფერზე დავლაპარაკეთ. ამის შემდეგ ლეოსთან კავშირი აღარ მქონია, მაგრამ ნუ დავადანაშაულებთ ამაში, იმიტომ, რომ ის ზაფხულიდან მოყოლებული არავინ შემომხმიაზებია.

- შესვამთ თუ არა ჭიქა ყავას სერხიო ბატისტასთან?

- არა. მიმანია, რომ მას თავში მოკლე ჩართვა ჰქონდა და არ მომეწონა როგორ მოიქცა გარკვეულ სიტუაციებში. მაგრამ მაინც ვუსურვებ მიაღწიოს ნაკრებში იმას, რაც მე ვერ მოვახერხე.

- რიკელმესთან?

- რიკელმესთან - კი. როცა ის ამბობს, რომ „ბოკას“ გულისთვის შეუძლებელიც უნდა გავაკეთოთ, მე მას ულაპარაკოდ ვუჭერ მხარს. თუმცა მას შემდეგ, რაც რაღაც „პრინციპებსა“ და „კოდექსებზე“ დაიწყო ლაპარაკი, აღარ შევხვედრივარ. ნაკრების მწვრთნელობისას მხოლოდ იმას ვამბობდი, რომ ის 20 მეტ-

რით უნდა მიუახლოვდეს თავდამსხმელებს. მე მართლაც გულწრფელად მადლობელი ვარ იმისთვის, რაც რიკელმემ „ბოკასთვის“ გააკეთა და ღმერთმა ქნას, ისევ ვაახაროს გულშემატკივრები.

- ოდესლაც გახდებით „ბოკას“ მწვრთნელი?

- მეგონა, რომ უკვე დამიძახებდნენ, მაგრამ ამჯერად ასე არ მოხდა. ამეაღს (ხოვრზე ამორ ამეაღს - „ბოკას“ პრეზიდენტი) არ შეუძლია გაარჩიოს რაგბის ბურთი ფეხბურთის ბურთისგან, ამიტომაც აირჩია ვალსიონი. მეკარე! მაგრამ ოდესლაც ისინი მნახავენ ამ გუნდის სათადარგოთა სკამზე.

გული გრონდონა (არგენტინის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი): „არსებობს თემები, რაზეც მხოლოდ ოჯახის წრეში ან გარკვეულ კამპანიაში მიღებული ლაპარაკი. ეს სენიორი ძალიან ბევრს ლაპარაკობს წესებსა და კოდექსებზე, მათ შორის ეთიკურზეც, მაგრამ, როგორც ჩანს, თავად განიცდის ამის დეფიციტს. მართალია, 79 წლის ვარ, მაგრამ განსაზღვრება - „მარაზმში გადავარდნილი მოხუცი“ არ შემეფერება. მე თავად შევთავაზე არგენტინის ნაკრებში მუშაობის გაგრძელებას, მაგრამ ამისთვის საჭირო იყო სამწვრთნელო შტაბზე მოლაპარაკება, რომლის შემადგენლობაც მე არ მანყობდა. მარადონას საერთო ენა რომ მოეხატა იმასთან, ვისთანაც საჭირო იყო, ამისგან ყველა მოგებული დარჩებოდა.“

კარლოს ბილარდო (არგენტინის ყველა ნაკრების კოორდინატორი): „მარადონაზე ცუდს არასოდეს ვიტყვი, მაგრამ ჩვენი ისედაც ცალმხრივი ურთიერთობა საბოლოოდ შეწყდა. ძალიან ბევრ რამეზე ვინარჩუნებ დუმობას და ამას დიეგოს ქალიშვილების ხათრით ვაკეთებ. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ 1985 წელს მთელ ქვეყანასთან მომიწია ომი იმის გამო, რომ მარადონა ნაკრების კაპიტანი გამხდარიყო. ასევე მომიწია მისი დაცვა პრესიგან, რომელიც სრულიად საფუძვლიანად აკრიტიკებდა დიეგოს, რომ ის „ბარსელონაში“ უბრალოდ ირიცხებოდა, ხოლო „ნაპოლის“ ჩემპიონთა თასი ვერ მოაგებინა. ხშირად, იმისთვის, რომ მარადონას მხარე დამეჭირა, საკუთარ სახეს ვეკარავდი.“

გია თვალაპაივილი

